პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № ---

2025 წლის --- მაისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (დანართი თან ერთვის) .
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: მაია უგლავა

შეთანხმებულია

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე ლ.ჩანქსელიანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"

ს/კ 421272027 5400 ქ. წყალტუბო, დედა ენის ქ. №2 ☎995 577 57 62 76 (0 436) 22 22 29

N 122/33
16/05/2025

33-122-2-202505161504

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავჯდომარეს

თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ ანგარიშს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის" მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი: 10 ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ხურცია

მმართველი
ა(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

ანგარიში

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“, დაფუძნებულია ზოგადსაგანმანათლებლო ინტერესებზე, რომელშიც გაერთიანებულია: მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი, თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სკოლა და სამხატვრო სკოლა. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებად ყველა წრეში სწავლება უფასოა. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ 100%-ით.

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანი და მიმართულებებია: ქალაქის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა. ბავშვებისა და ახალგაზრდების გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, ხელოვნებასთან ზიარებით პიროვნების ინდივიდუალური, შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და ამ გზით მისი შენარჩუნება, მოსწავლეებისთვის დაწყებითი სამხატვრო და სამუსიკო განათლების მიცემა. ეს სწორედ ის პრიორიტეტებია, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი საქმიანობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის”: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მუშაობაში წარმატებულად დაინერგა მრავალფეროვანი აქტივობები: კონკურსები, გამოფენები, ფესტივალები, სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, სპორტული შეჯიბრებები, შეხვედრები გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში“ 2024 წლის საანგარიშო პერიოდში ირიცხებოდა- 680 მოსწავლე.

ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე 2024 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც მონაწილეობა მიიღო ცენტრში ჩარიცხულმა გოგონებმა - ვაჟებმა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ახალგაზრდობის აღზრდისა და განვითარების კომპლექსური დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს მიზნობრივ სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მეცადინეობა მიმდინარეობს სპეციალურად შემუშავებული სასწავლო გეგმისა და პროგრამების მიხედვით.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში 2024 წლის 12 თვის პერიოდისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიება-კონკურსები:

1 იანვარი - საახალწლო მიუზიკლი ,,ბურატინოს თავგადასავალი“. მონაწილეობა მიიღო: საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრემ; ვოკალის წრემ და ბალეტის წრემ. (ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე, ხ.ბუაძე, ნ.ცერცვაძე) ს/დ ,,ივერია“ . მონაწილეობას იღებდა 68 გოგო და 21- ბიჭი.

3 იანვარი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება ,,ახალი წლის დღეები 2024“. მონაწილეობა მიიღო ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ხ.ბუაძე). ს/დ ,,ივერიის“ მიმდებარე ტერიტორია. მონაწილეობას იღებდა 28 გოგო და 10 ბიჭი.

26-27-28 იანვარი - ბორჯომ-ბაკურიანის საქართველოს ეროვნული ფილარმონიის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალის ხელმძღვანელობით ჩატარდა ყოველწლიური ფესტივალი

,,ფანტაზია 2024", რომელიც გაიმართა ბორჯომ-ბაკურიანში. მონაწილეობა მიიღო ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ხ.ბუაძე). მონაწილეობას იღებდა 28 გოგო და 10 ბიჭი.

1 თებერვალი - წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე. მონაწილეობა მიიღო საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრემ (ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. მონაწილეობას იღებდა 24 გოგო და 11 ბიჭი.

მარტი - დედის დღისადმი მიძღვნილი აქტივობა ,,My Mum Is The Best" მონაწილეობა მიიღო ინგლისური ენის წრემ (ხელ-ლი: თ. თუთბერიძე) ღონისძიება გაიმართა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. მონაწილეობას იღებდა 12 გოგო და 13 ბიჭი.

17 მარტი - ,,სამეგრელოს ღია ჩემპიონატი ტაეკვონდოში" მონაწილეობა მიიღო ტაეკვონდოს წრემ (ხელ-ლი: ზ. სალუქვაძე) ქალაქი სენაკი. მონაწილეობას იღებდა 3 გოგო და 12 ბიჭი.

22 მარტი - წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა პრეზენტაცია. მონაწილეობა მიიღო ეკოლოგიის წრემ (ხელ-ლი: ც. ბერეკაშვილი) ქალაქი წყალტუბო სასტუმრო ,,პრომეთე". მონაწილეობას იღებდა 17 გოგო და 6 ბიჭი.

28 მარტი - საგაზაფხულო ღონისძიება ,,გაზაფხული, დედა და სიყვარული" მონაწილეობა მიიღო საბავშვო თეატრის მოყვარულთა წრემ, ვოკალის წრემ და ბალეტის წრემ. (ხელ-ლი: ქ. ანდრიაძე, ხ.ბუაძე, ნ.ცერცვაძე, ო. სვანაძე) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. მონაწილეობას იღებდა 68 გოგო და 21- ბიჭი.

2 აპრილი - აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების დღე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრის (ხელ-ლი: ცირა ბერეკაშვილი) მოსწავლის, ლუკა ტყაბლაძის მიერ დამზადებული ბუკლეტი. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. მონაწილეობას იღებდა 17 გოგო და 6 ბიჭი.

3 აპრილი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხალხურ საკრავთა წრე (ხელ-ლი: თეიმურაზ თევზაძე) შემოქმედებითი პირველი საპრეზენტაციო პროგრამით წარსდგა მსმენელთა წინაშე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. მონაწილეობას იღებდა 18 გოგო და 11 ბიჭი.

4 აპრილი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრემ (ხელ-ლი: ცირა ბერეკაშვილი) წყლის რესურსების დაცვა და აუტიზმის შესახებ ცნობადობის გაზრდა. გაიმართა მორიგი კონფერენცია. მოსწავლეებმა პრეზენტაციები ორ ეტაპად წარმოადგინეს. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. მონაწილეობას იღებდა 17 გოგო და 6 ბიჭი.

3-13 აპრილი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ტაეკვონდოს წრეს (ხელ-ლი: ზურაბ სალუქვაძე) ეწვია, ტაეკვონდოს ეროვნული ნაკრების იუნიორთა და კადეტთა ნაკრების სპორტსმენები, სადაც ტარდებ ეროვნული ნაკრების საწვრთნელი გადამზადება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. მონაწილეობას იღებდა 9 გოგო და 14 ბიჭი.

12-14 აპრილი - 12 აპრილს საერთაშორისო ტურნირი ტაეკვონდოში (ხელ-ლი: ზურაბ სალუქვაძე) ოფიციალურად გაიხსნა და 14 აპრილს დაიხურა. ქუთაისის სპორტის სასახლე. მონაწილეობას იღებდა 9 გოგო და 14 ბიჭი.

16 აპრილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ნიკო კეცხოველის ქუჩაზე ახალი სკვერი გაიხსნა, მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე) კონცერტი გამართა. მონაწილეობას იღებდა 28 გოგო და 10 ბიჭი.

21 აპრილი - დედამიწის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (22აპრილი) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, ეკოლოგიის წრის წევრებმა წრის ხელმძღვანელის, ცირა ბერეკაშვილის ორგანიზებით ლაშქრობა მოაწყო. წყალტუბოს ცენტრალური პარკი-თეთრა მღვიმე. 17 გოგო და 6 ბიჭი.

26 აპრილი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრის ბაზაზე, ეკოლოგიის წრის ხელმძღვანელის, ცირა ბერეკაშვილის ორგანიზებით სემინარი მოეწყო ორგანიზაციის GEO მიერ, გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით.სემინარის თემა: "გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში". მონაწილეობას იღებდა 17 გოგო და 6 ბიჭი.

2 მაისი - ხელმარჯვეთა წრის წევრების (ხელ-ლი: ტასო ხახნელიძე) ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. მონაწილეობას იღებდა 15 გოგო.

18 მაისი - სახალხო საერთაშორისო ფესტივალი „მოგზაურობა დროში“, მონაწეილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხალხურ საკრავთა წრემ (ხელ-ლი: თეიმურაზ თევზაძე). ქ. ქუთაისი მესხიშვილის თეატრი. მონაწილეობას იღებდა 18 გოგო და 11 ბიჭი.

26 მაისი - პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების დღესთან დაკავშირებით გაიმართა კონცერტი ს/დ ,,ივერიაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე) და ხალხურ საკრავთა წრემ (ხელ-ლი: თეიმურაზ თევზაძე). მონაწილეობას იღებდა 45 გოგო და 21 ბიჭი.

21 მაისი - ინგლისური ენის წრეში (ხელ-ლი: თამთა თუთბერიძე) ჩატარდა ღია შემაჯამებელი საწრეო მეცადინეობა. მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი. მონაწილეობას იღებდა 12 გოგო და 13 ბიჭი.

27 მაისი- მათემატიკის წრეში (ხელ-ლი: თორნიკე ჩიხლაძე) ჩატარდა ღია საწრეო შემაჯამებელი მეცადინეობა "ინტელექტუალური შეჯიბრი". მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი. მონაწილეობას იღებდა 14 ბიჭი და 11 გოგო.

28 მაისი - ჭადრაკის წრეში (ხელ-ლი: ალეკო გოლეთიანი) ჩატარდა ღია საწრეო შემაჯამებელი მეცადინეობა. მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი. მონაწილეობას იღებდა 4 გოგო და 11 ბიჭი.

28 მაისი - ქორეოგრაფიის წრეში (ხელ-ლი: სერგო ბაბაიანი) ჩატარდა ღია საწრეო შემაჯამებელი მეცადინეობა. მონაწილეობას იღებდა 22 ბიჭი.

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა თეატრალურ-მუსიკალური ,,მიუზიკლი ,,მოგზაურობა საჰაერო ბუშტით“. სადაც მონაწილეობა მიიღო: ბალეტის, ხალხურ საკრავთა, ვოკალის წრეებმა (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე, თეიმურაზ თევზაძე, ნათელა ცერცვაძე). მონაწილეობას იღებდა 68 გოგო და 22 ბიჭი.

4 ივნისი - ხელმარჯვეთა წრემ (ხელ-ლი: ტასო ხახნელიძე) ჩაატარა ღია საწრეო შემაჯამებელი მეცადინეობა, სადაც მოსწავლეებმა მოაწყვეს თავიანთი ნამუშევრების გამოფენა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. მონაწილეობას იღებდა 15 გოგო.

5-11 ივნისი - ქალაქ ქუთაისში, მაია ჩიბურდანიძის სახელობის ჭადრაკის სასპორტო სკოლაში გაიმართა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღო ჭადრაკის წრემ. (ხელ-ლი: ალეკო გოლეთიანი) მონაწილეობას იღებდა 4 გოგო და 5 ბიჭი.

13 ივნისი - სოფ. მაღლაკში გაიხსნა მერაბ კოსტავას ბიუსტი, რაშიც მონაწილეობა მიიღო საბავშვო თეატრის მოყვარულთა, ვოკალის და ხალხურ საკრავთა წრეებმა (ხელ-ლი: ქეთევან ანდრიაძე, ხათუნა ბუაძე, თეიმურაზ თევზაძე). მონაწილეობას იღებდა 48 გოგო და 22 ბიჭი.

13 ივნისი - გიტარის წრის (ხელ-ლი: გოგიტა ნაოჭაშვილი) ღია საწრეო შემაჯამებელი მეცადინეობა. მონაწილეობას იღებდა 17 ბიჭი და 6 გოგო.

16 ივნისი- ქ. ბათუმში გამართა საერთაშორისო ფესტივალი „ჰარირა-2024“ აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე). მონაწილეობას იღებდა 28 გოგო და 10 ბიჭი.

25-29 ივნისი - ქ. სტამბულში გაიმართა საერთაშორისო ფესტივალი ,,სტამბული 2024“ სადაც მონაწილეობა მიიღო ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე). მონაწილეობას იღებდა 9 გოგო და 3 ბიჭი.

2 ივლისი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა პედაგოგიური საბჭოს სხდომა, სადაც პედაგოგებმა შეაჯამეს სასწავლო წლის მანძილზე გაწეული მუშაობა და დასახეს გეგმები მომავალი სასწავლო წლისათვის.

2 ივლისი - ,,მწვანე ბანაკის“ დასრულება. ,,კლიმატის ელჩების“ წევრი გახდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრის (ხელ-ლი: ცირა ბერეკაშვილი) წევრი ერეკლე გედენიძე.

5 ივლისი - მოსწავლე-ახალგაზრდობის წრეში (ხელ-ლი: რიმა მარგიანი, მართა იოსელიანი) ჩატარდა ღია საწრეო შემაჯამებელი მეცადინეობა. მოსწავლეებმა გამოავლინეს თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა, რაც ადასტურებს მასალის სრულყოფილ ათვისებას. მონაწილეობას იღებდა 40 გოგო.

6 ივლისი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხარლხურ საკრავთა წრემ (ხელ-ლი: თეიმურაზ თევზაძე) მონაწილეობა მიიღო ქალაქ ქობულეთში, ფესტივალ ,,ნარინჯისფერი ქობულეთი 2024“- ში. მონაწილეობას იღებდა 17 გოგო და 10 ბიჭი.

13-14 ივლისი - საქართველოს ეროვნულმა ფედერაციამ ქალაქ ხარაგაულში ჩაატარა ,,ხარაგაულის ღია პირველობა ტაეკვონდოში". მონაწილეობას იღებდა 5 ბიჭი და 4 გოგო.

1 სექტემბერი-30 სექტემბერი - მოსწავლე-ახალგაზრდობის წრეებში მოხდა მოსწავლეთა რეგისტრაცია-ჩარიცხვა. დაკომპლექტდა წრეები ირიცხებოდა 345 მოსწავლე, მათ შორის 140 გოგო და 120 ბიჭი. (გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ერთი მოსწავლე შეიძლება ჩარიცხული იყოს რამოდენიმე წრეში)

4 სექტემბერი - ,,ტაეკვონდოს" კადეტთა ნაკრების საწრთვნელი შეკრება დაიწყო, ეროვნული ნაკრების ღია ჩემპიონატის მზადებისათვის, სადაც მონაწილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ტაეკვონდოს წრის (ხელ-ლი: ზურაბ სალუქვაძე) სპორტსმენმა ,,შავი ქამრის" მფლობელმა, საქართველოს 4 გზის ჩემპიონმა ,,ტაეკვონდოში" გიორგი ლექვთაძემ.

15 სექტემბერი - ლატვიის ქალაქ რიგაში ჩატარდა ღია საერთაშორისო G-კატეგორიის ტურნირი ,,ტაეკვონდოში" ,,Riga oupen" სადაც მე-3 ადგილი ,,ბრინჯაოს" მედალი მოიპოვა ნაკრების წევრმა მოსწავლე-ახალგაზრდობის წრის (ხელ-ლი: ზურაბ სალუქვაძე) სპორტსმენმა გიორგი ლექვთაძემ.

28-29 სექტემბერი-,,შემოდგომის წყალტუბო 2024" მონაწილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ვოკალის, ხალხურ საკრავთა, ტაეკვონდოს, ქორეოგრაფიის და ხელმარჯვეთა წრის წევრებმა (ხელმძღვანელები: ხათუნა ბუაძე, თეიმურაზ თევზაძე, ზურაბ სალუქვაძე და მართა იოსელიანი) მონაწილეობას იღებდა 48 გოგო და 26 ბიჭი.

3 ნოემბერი - ქ. თბილისში ვ. სალარიძის სახელობის დარბაზში საქართველოს ხელოვნებათა კავშირის ეგიდით, გაიმართა თბილის ქალაქობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფესტივალი,, შემოდგომის თბილისი 2024" რაშიდაც მონაწილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე). მონაწილეობას იღებდა 24 გოგო 14 ბიჭი.

12 ნოემბერი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ეკოლოგიის წრემ (ხელ-ლი: ცირა ბერეკაშვილი) გამართა ღონისძიება თემაზე: ,,ჯანსაღი კვება ადამიანის ჯანმრთელობის მთავარი პირობაა". მონაწილეობას იღებდა 17 გოგო და 6 ბიჭი.

29 ნოემბერი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ანა კალანდაძის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია ,,შენი დიდების მე ვარ საყდარი". აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრის მოყვარულთა, ვოკალის, გიტარის და ბალეტის წრის წევრები (ხელ-ლი: ქეთევან ანდრიაძე, ხათუნა ბუაძე, გოგიტა ნოჭაშვილი, ნათელა ცერცვაძე).

1 დეკემბერი - შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეა. ამ თარიღს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრე გამოეხმაურა (ხელ-ლი: ცირა ბერეკაშვილი) თემატური კონფერენციით. მოსწავლეებმა ისაუბრეს აივ. ინფექციაზე, შიდსის გავრცელებისა და პრევენციის გზებზე, შიდსით დაავადებული ადამიანების კონსტიტუციურ უფლებებსა და მოვალეობებზე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. მონაწილეობას იღებდა 17 გოგო 6 ბიჭი.

3-4-5-6 დეკემბრი - ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი „ტაეკვონდოში", სადაც მონაწილეობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ტაეკვონდოს წრის (ხელ-ლი: ზურაბ სალუქვაძე) 8 სპორტსმენი. 6 ბიჭი 2 გოგო.

19 დეკემბერი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ნაძვის ხის ანთების საზეიმო ღონისძიება გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღო ხელმარჯვეთა, საბავშვო თეატრის მოყვარულთა, ვოკალისა და ბალეტის წრეებმა (ხელ-ლი:ტასო ხახნელიძე, ქეთინო ანდრიაძე, ხათუნა ბუაძე, ნათელა ცერცვაძე) მონაწილეობა მიიღო 45 გოგო 17 ბიჭი.

23 დეკემბერი - ქალაქ წყალტუბოს მთავარი ნაძვის ხის საზეიმოდ გახსნაში მონაწილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ვოკალის წრემ (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე) 24 გოგო 14 ბიჭი.

23 დეკემბერი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკოლოგიის წრის (ხელ-ლი: ცირა ბერეკაშვილი) ინიციატივით, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, მოეწყო სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსია ქ.ქუთაისში "ონიმას"მეხვეულისა და "მაკნატუნას" მზესუმზირის ქარხნებში. მონაწილეობას იღებდა 17 გოგო 6 ბიჭი.

26 დეკემბერი - ქ. წყალტუბოში, საკონცერტო დარბაზ ,,ივერიის'' მიმდებარე ტერიტორიაზე საახალწლო, ჯადოსნური ქალაქი გაიხსნა, აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ვოკალის წრე (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე). 20 გოგო 12 ვაჟი.
მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეებში 2024 წლის მდგომარეობით ჩარიცხული იყო 396 მოსწავლე მათ შორის 240 გოგო და 156 ბიჭი.

სამუსიკო სკოლა

სამუსიკო სკოლა მიზანმიმართულად ემსახურება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილოვებულ მოსწავლეთა აღზრდა-გამოვლენას. სამუსიკო სკოლაში მოსწავლე იღებს დაწყებით მუსიკალურ განათლებას, ვახდენთ მათ პოპულარიზაციას, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მონაწილეობით რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა ფესტივალ- კონკურსებში.

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს სკოლის მუშაობის პერიოდს 2024 წლის იანვრიდან (მეორე სემესტრიდან) 31 დეკემბრის ჩათვლით.

2023-24 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სკოლაში სწავლობდა 138 მოსწავლე, ფოლკლორულ ანსამბლში 36 მოსწავლე , სულ 174 მოსწავლე. მათ აღზრდას ემსახურებოდა 23 პედაგოგი. სწავლება მიმდინარეობდა სკოლის სასწავლო და სამუშაო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

2 თებერვალს სკოლაში ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე - „პოლიფონიაზე მუშაობის მეთოდები და აუცილებლობა" თემა წარადგინა საფორტეპიანო კლასის პედაგოგმა ნინო ფანცხავამ. მან ისაუბრა პრაქტიკაზე, რომელსაც იყენებს მოსწავლეებთან პოლიფონიური ხასიათის ნაწარმოებზე მუშაობის დროს.

7 მარტს გაიმართა ტრადიციული ბიჭუნების კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 17-მა ვაჟმა მოსწავლემ.

17 დან 21 მარტის ჩათვლით სამუსიკო სკოლაში გაიმართა ი.ს. ბახის სახელობის VII ეროვნული კონკურსი, თბილისის ხელოვნების აკადემიის რექტორის, ეროვნული და საერთაშორისო კონკურსების დამფუძნებლის პიანისტ - შემსრულებლის ვალერიან შიუკაშვილის ხელმძღვანელობით.

18 მარტს კონკურსის ფარგლებში გაიმართა მასტერკლასი ჟიურის წევრის, გერმანიიდან მოწვეული მაღალი რანგის პიანისტის დუდანა მაზმანიშვილის მიერ მე-6 კლასის მოსწავლე მარიამ შვანგირაძესთან (პედ. ზ. ავალიანი) ასევე 19 მარტს გაიმართა თბილისიდან მოწვეული ხელოვანმცოდნეების მიერ (ლიკა ხორბალაძე და გიორგი ხუციშვილი) საუბრები „იოჰან სებასტიან ბახის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე".

21 მარტს სკოლაში ჩატარდა ი.ს. ბახის სახელობის კონკურსში გამარჯვებულთა რეგიონალური გალა კონცერტი და დაჯილდოვება. კონკურსში მონაწილეობა მიიღო სულ 94-მა მოსწავლემ მათ შორის ჩვენი სამუსიკო სკოლიდან 14-მა მოსწავლემ. დაჯილდოვდნენ საპატიო დიპლომებით, სიგელებით I და II ადგილით. კონცერტმეისტერ მარიამ ეფრემიძეს მიენიჭა საუკეთესო კონცერტმეისტრის წოდება და დოდო ცინცაძის სახელობის ფულადი პრემია.

I ადგილი მფლობელები გახდნენ:

1) გიორგი ჩიხლაძე - 2 კლ. (პედ. ქეთევან რატიანი) მან დაიმსახურა პრიზი „კლემენტის სონატის საუკეთესო შესრულებისათვის" გადაეცა დოდო ცინცაძის სახელობის სტიპენდია.

2) მარიამ შვანგირაძე - 6 კლ. ფ/პ (პედ. ზეინაბ ავალიანი)

3) ლუკა კაჭკაჭიშვილი-2 კლ. ვიოლინო (პედ. ნინო ვარძელაშვილი, კონცერტმაისტერი ნათია ტუკვაძე) ლუკას გადაეცა პრიზი წოდებით „ნორჩი წყალტუბოელი მუსიკოსი" წყალტუბოს მერის გენადი ბალანჩივაძის მიერ.

II ადგილის მფლობელები გახდა - ემილია ქუთათელაძე მე - 5 კლასი ფ/პ (პედ. დალი ბაკურაძე)
III ადგილი ბარბარე ფანცხავა მე - 2 კლ. ფ/პ (პედ. ზეინაბ ავალიანი)

სიგელი წარმატებული მონაწილეობისათვის გადაეცა მე-2 კლასის მოსწავლეს ანა ჩიხლაძეს ვიოლინო (პედ. ლელა დვალიშვილი)

დიპლომები გადაეცათ შემდეგ მოსწავლეებს:

1. კუჭავა ანასტასია მე - 2 კლასი ფ/პ (პედ. დალი ბაკურაძე)
2. მოსეშვილი ლილე მე - 2 კლასი ფ/პ (პედ. ნინო ფანცხავა)
3. ტყაბლაძე თეკლა მე - 3 კლასი ფ/პ (პედ. ქეთევან რატიანი)
4. თევდორაძე ანდრია მე - 3 კლასი ფ/პ (პედ. ნინო ფანცხავა)
5. ბზიკაძე ნიკოლოზი მე-4 კლასი ფ/პ (პედ. ნანა შუბლაძე)
6. ფირცხალავა ნინო მე - 5 კლასი ფ/პ (პედ მზევინარ შვანგირაძე)
7. ჩხეტიანი მარიამი მე - 5 კლასი ფ/პ (პედ. ლეილა ნამგალაძე)
8. ლექვინაძე ილია მე - 5 კლასი ფ/პ (პედ. ლეილა ნამგალაძე)

კონკურსი საქართველოს მასშტაბით პირველად ჩატარდა წყალტუბოს სამუსიკო სკოლაში. ეს იყო ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის, ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის მმართველის ნინო ხურციას მხარდაჭერითა და სამუსიკო სკოლის საორგანიზაციო კომიტეტის უშუალო ორგანიზებით.

29 მარტს ქ. ქუთაისში მონაწილეობა მივიღეთ კლასიკური მუსიკის მე-17 ეროვნულ კონკურს - ფესტივალში „მომავლის ვარსკლავები" მონაწილეობა მიიღო 4-მა მოსწავლემ (ლუკა კაჭკაჭიშვილმა ვიოლინო, ჩიხლაძე ანამ ვიოლინო, კუჭავა ანასტასიამ ფ/პ, ქუთათელაძე ემილია.ფ/პ) ლაურეატის წოდება მიიღო ლუკა კაჭკაჭიშვილმა II კლასი.

30 მარტს მონაწილეობა მივიღეთ ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის მე-16 რესპუბლიკურ კონკურს ფესტივალში „იპოვე შენი ვარსკვლავი".

21 აპრილს თბილისში სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა გამარჯვებულთა გალა კონკურსი, სადაც გრანპრით დაჯილდოვდა ფოლკლორული ანსამბლი „აისი" ლაურეატობა და პირველი საპრიზო ადგილი მოიპოვა ემილი ქუთათელაძემ მე-5 კლასი ფ/პ (პედ. დალი ბაკურაძე) ასევე სავიოლინო კლასის მოსწავლეებმა ლუკა კაჭკაჭიშვილმა და ანნა ჩიხლაძემ.

9 აპრილს ქ. ქუთასში ჩატარდა თეორიული კონფერენცია „ თაობათა ცვლა". სადაც პედაგოგ დარეჯან კოვზირიძის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო მე-5 კლასის მოსწავლემ ემილია ქუთათელაძემ იგი დაჯილდოვდა დიპლომით. წაკითხულ იქნა თემა რ. შუმანის საფორტეპიანო კრებული „ალბომი ახალგაზრდობისათვის".

27 მარტს ქ. სენაკში მონაწილეობა მივიღეთ „სენაკის არტ - ფესტივალში" . კონკურსში მონაწილეობდა 4 მოსწავლე მათ შორის ლაურეატი გახდა და გალა კონცერტზე 29 მაისს სენაკის თეატრში დააჯილდოვეს ლუკა კაჭკაჭიშვილი.

28 მაისს ქ. ქუთაისში გაიმართა ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა კონკურს-ფესტივალი „ რონდო კლასიკა". მონაწილეობა მიიღო სამმა მოსწავლემ (1 ვაჟი და 2 გოგონა). აქაც ლაურეატის წოდება მოიპოვეს ლუკა კაჭკაჭიშვილმა, ანნა ჩიხლაძემ და მარიამ შვანგირაძემ.

4 ივნისს სამუსიკო სკოლაში ჩატარდა პირველ კლასელთა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამივე განყოფილების 36 მოსწავლემ - აქედან 12 - მა ბიჭმა და 24 -მა გოგონამ.

13 ივნისს ფორტეპიანოს პედაგოგმა ზეინაბ ავალიანმა ჩაატარა კლასის კონცერტი, სადაც გამოვლინდა პედაგოგის მიერ სასწავლო წლის მანძილზე გაწეული მუშაობა.

18 ივნისს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა ფოლკლორული ანსამბლ „აისის" საანგარიშო კონცერტი „იმერეთიდან აფხაზეთისკენ აჟღერებული ჰანგები".

19 ივნისს სკოლაში ჩატარდა მე-6 კლასის გამოსამშვები საღამო კონცერტი სადაც გზა დავულოცეთ ჩვენს კურსდამთავრებულებს.

21 ივნისს ჩატარდა სკოლის აკადემიური კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა 32 მოსწავლე აქედან 24 გოგონა და 8 ბიჭი.

2024-25 სასწავლო წელს სექტემბრის მდგომარეობით სკოლაში სწავლობს 134 მოსწავლე, ფოლკლორულ ანსამბლში კი 43 მოსწავლე სულ სკოლაში ირიცხება 177 მოსწავლე.

ახალი 2024-25 სასწავლო წელი 28 სექტემბერს დაიწყო ქალაქის ზეიმით „შემოდგომის წყალტუბო", რომელშიც ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა მიიღო მონაწილეობა ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

29 სექტემბერს კი ფოლკლორულმა ანსამბლმა „აისმა" მიიღო მონაწილეობა ფოლკლორული ანსამბლების კონცერტზე, მონაწილეობდა 17 გოგონა და 18 ბიჭი.

19 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის ბ-ნ გიორგი ვაჩნაძის ინიციატივით, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ქ. ქუთაისში ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში ჩატარდა სახელოვნებო სკოლების რეფორმის ფარგლებში. აღნიშნულ დათვალიერებაში წყალტუბოს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნულ დათვალიერებაში წყალტუბოს სამუსიკო სკოლის 6 გოგომ და 2 ბიჭმა მიიღო მონაწილეობა.

27.11, 11.12, და 18.12 ჩატარდა სკოლაში გეგმიური დახურული კონცერტი, სადაც შეირჩა ღია კონცერტისათვის ნომრები.

25 დეკემბერს სკოლაში გაიმართა საახალწლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა ყველა განყოფილების მოსწავლეები. რომელშიც მონაწილეობდა 6 ბიჭი და29 გოგო ყველა განყოფილებიდან.

16-24 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა სემესტრული ჩათვლები, სადაც გამოვლინდა მოსწავლეთა მომზადების მაღალი და საშუალო დონე.

27 დეკემბერს ჩატარდა პედაგოგიური საბჭოს სხდომა და შეჯამდა შედეგები.

სამხატვრო სკოლა

მოგახსენებთ, რომ სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე არაერთი ნიჭიერი თაობა აღზარდა. სკოლის აღზრდილები დღეს პროფესიონალი მხატვრები არიან და ეწევიან შემოქმედებით მუშაობას. სკოლაში ირიცხებოდა 107 მოსწავლე. მათ პროფესიულ განათლებას აზიარებს 7 კვალიფიციური პედაგოგი. თითოეული მათგანი ეწევა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას და სათანადოდ ზრუნავს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვაზე.

მოსწავლეები სამხატვრო სკოლაში ეუფლებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგებს: ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ქანდაკებას, დეკორატიულ კომპოზიციას და ხელოვნების ისტორიას.

სამხატვრო სკოლას აქვს ფონდები და საგამოფენო დარბაზები, რომელსაც ემსახურება 5 სპეციალისტი. მათ მიერ მუშავდება თემები გამოჩენილ მხატვართა ,,ცხოვრებისა და შემოქმედების" შესახებ, რომელთაც თან ერთვის ნამუშევრების ექსპონირება ფართო ეკრანზე რეფერატის სახით. ამასთანავე ხდება ქ. წყალტუბოში მცხოვრებ რეწვის ოსტატთა მოძიება. ნამუშევრების შეგროვება და ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა პოპულარიზაცია.

სამხატვრო სკოლაში სისტემატიურად ტარდება საგაზაფხულო, საშემოდგომო და საშობაო გამოფენები. მათ შორის პერსონალური, თემატური და გასვლითი ღონისძიებები. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ უცხოეთში გამართულ გამოფენა-კონკურსებში.

2024 წლის 16 იანვარს საერთაშორისო ქრისტიანულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო საშობაო თემატური გამოფენა, სადაც მოხდა მოსწავლეთათვის საჩუქრების გადაცემა. ღონისძიებაში ჩართული იყო 90 მოსწავლე (78 გოგონა, 12 ვაჟი).

29 იანვარს სამხატვრო სკოლის სპეციალისტების მიერ მომზადდა თეორიული კონფერენცია ,,ირაკლი ოჩიაურის ცხოვრება და შემოქმედება".ღონისძიებას ესწრებოდა 48 მოსწავლე (40 გოგონა, 8 ვაჟი)

15 თებერვალს სამხატვრო სკოლის მოსწავლეების (15 გოგონა, 3 ვაჟი) მიერ მოეწყო თემატური გამოფენა.

6 მარტს სამხატვრო სკოლის სპეციალისტების მიერ მომზადდა თეორიული კონფერენცია ,,ქართველი ქალი მხატვრები". ღონისძიებას ესწრებოდა 43 მოსწავლე (35 გოგონა, 8 ვაჟი)

14 მარტს მოხდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 16 რეწვის ოსტატის ნამუშევრების მოძიება, ფოტო მასალის და ფესტივალში მონაწილეთა ანკეტების მოწესრიგება-გადაგზავნა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის თაობაზე.

12 აპრილს სამხატვრო სკოლის 24 მოსწავლე (20 გოგონა, 4 ვაჟი) ჩაერთო გასვლით ღონისძიებაში ,,ასფალტზე ცარცით ხატვა". მოიხატა ქართული ანბანი, მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

17 აპრილს სამხატვრო სკოლაში ჩატარდა კონფერენცია ,,დედაენის დღესთან დაკავშირებით", მოხსენება გააკეთა სამხატვრო სკოლის ბიბლიოთეკარმა თამარ ზურაბიანმა, ასევე წარმოდგენილი იქნა მოსწავლეთა კალიგრაფიული ნამუშევრების გამოფენა. ღონისძიებას ესწრებოდა 40 მოსწავლე (33 გოგონა, 7 ვაჟი)

23 აპრილი სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს თემატური ნამუშევრები ,,დედამიწის დღე".(10 გოგონა, 4 ვაჟი)

20 მაისს სამხატვრო სკოლის პედაგოგმა მარიამ ჯიბუტმა მოსწავლეებს ჩაუტარათ პრეზენტაცია ,,ეროვნული სამოსის დღესთან „ დაკავშირებით.(35 გოგონა, 7 ვაჟი) თავისუფალი მსმენელები.

31 მაისს მხატვრული შემოქმედების საერთაშრისო გამოფენა-კონკურსის სახელწოდებით ,,უნგენი და დამეგობრებული ქალაქები" გაგზავნილი იქნა სამხატვრო სკოლის 7 მოსწავლის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.

26 მაისს ივერიის შესასვლელში გაიმართა თემატური ნამუშევრების გამოფენა. (12 გოგონა, 3 ვაჟი),ასევე ჩართული იყვნენ რეწვის ოსტატები.

1 ივნისს სამხატვრო სკოლის მოსწავლეები ჩართული იყვნენ ქალაქის ღონისძიებაში ასფალტზე ცარცით ხატვა. ასევე თაბაშირის ფიგურების მოხატვაში. (10 გოგონა, 3 ვაჟი).

12 ივნისს სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო მოსწავლეთა შემაჯამებელი გამოფენა, ასევე მოხდა დამამთავრებელი კლასის სადიპლომო ნამუშევრების გამოფენა-შეჯამება. ღონისძიებას ესწრებოდა სამხატვრო სკოლის მოსწავლეები (80 გოგონა, 22 ვაჟი) და მოწვეული სტუმრები.

2024 წლის აგვისტოს სამხატვრო სკოლის დარბაზში სპეციალისტების მიერ გაიმართა ფონდის ნამუშევრების გამოფენა.

28 სექტემბერს წყალტუბომი გაიმართა ტრადიციული დღესასწაული ,,შემოდგომის წყალტუბო". დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით სამხატვრო სკოლის პედაგოგების ხელმძღვანელობით მოსწავლეები (35 გოგონა, 5 ვაჟი) ჩართული იყო შემოქმედებითად: მოიხატა თაბაშირის ფიგურები და სამხატვრო ტილოები.

ასევე მოეწყო მეწარმეთა და რეწვის ოსტატთა გამოფენა-გაყიდვა, სადაც მონაწილეობა მიიღო სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა (8 გოგონა) თავიანთი ხელით შექმნილი თექის ნამუშევრების გამოფენა- გაყიდვაში.

4 ოქტომბერს მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენას სტუმრობდა დამეგობრებული ქალაქის სალსომაჯორეს კულტურული ჯგუფის ,,SYNESTHE SIA ERALE ART" წარმომადგენლები: ქრისტინა სერვინი და იგამ მასარი. მათ სურვილი გამოთქვეს გაცვლითი პროგრამების შემუშავებაზე.

16 ოქტომბერს ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე ,,ბოსხის ცხოვრება და შემოქმედება"(38 გოგონა, 6 ვაჟი) მოსწავლეებმა ბენეფიციარებს წარუდგინეს მხატვრის ბიოგრაფიისა და ფერწერული ნამუშევრების ამსახველი კომპოზიციები.

27 ნოემბერს მოეწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: ,,კორნელ სანაძე", შემოქმედებით საღამოს ესწრებოდა სამხატვრო სკოლის მოსწავლეები (32 გოგონა, 7 ვაჟი).

26 დეკემბერს სამხატვრო სკოლაში მოეწყო მოსწავლთა ნამუშევრების შემაჯამებელი გამოფენა. სადაც ჩართული იყო სკოლის ყველა მოსწავლე. სტუმრებმა დაათვალიერეს შედეგები და წარმატებები უსურვეს აღსაზრდელებს.

მოგახსენებთ, რომ 2024 წლის დაზუსტებული ხარჯები იყო 850400 ლარი. ათვისებულია -769691 ლარი და 34 თეთრი.

კერძოდ:

1. ხელფასები დამტკიცებულია – 617050 ლარი, ათვისებულია – 613937 ლარი და 73 თეთრი;
2. პრემია/ჯილდო დამტკიცებულია-50260, ათვისებელია-40207 ლარი და 80 თეთრი;
3. მივლინების ხარჯი დამტკიცებულია - 2900 ლარი, ათვისებულია- 420 ლარი;
4. საკანცელარიო ხარჯი დამტკიცებულია – 4500 ლარი, ათვისებულია - 3647 ლარი და 25 თეთრი;
5. ნორმატიული აქტები დამტკიცებულია – 1000 ლარი, ათვისებულია - 782 ლარი და 40 თეთრი;
6. მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა დამტკიცებულია – 5440 ლარი, ათვისებულია - 4766ლარი ;
7. საოფისე ინვენტარის შეძენა დამტკიცებულია – 8756 ლარი, ათვისებულია-7979 ლარი და 60 თეთრი;
8. ოფისის მასალების შეძენა დამტკიცებულია – 6000 ლარი, ათვისებულია -3925 ლარი და 30 თეთრი;
9. შენობა - ნაგებობის და მათი მიმდინარე რემონტის ხარჯი - დამტკიცებულია - 36470 ლარი, აუთვისებელია;
10. საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტის ხარჯი დამტკიცებულია 1336 ლარი, ათვისებელია - 575 ლარი და 70 თეთრი;
11. კავშირგაბმულობის ხარჯი დამტკიცებულია – 5800 ლარი, ათვისებულია – 4460 ლარი და 89 თეთრი. დაიხარჯა ადგილობრივ ტელეფონზე, ინტერნეტზე და ჯეოსელის მომსახურებაზე;
12. საფოსტო მომსახურეობის ხარჯი დამტკიცებულია - 500 ლარი, ათვისებელია- 154 ლარი;
13. კომუნალური ხარჯები დამტკიცებულია – 23400 ლარი, ათვისებულია - 16309 ლარი და 77 თეთრი. დაიხარჯა ელ. ენერგიის და წყლის მომსახურეობაზე.
14. წარმომადგენლობითი ხარჯები დამტკიცებულია-5100 ლარი,ათვისებულია-5045 ლარი და 33 თეთრი;
15. რბილი ინვენტარის,უნიფორმის შეძენის ხარჯი - დამტკიცებულია - 6880 ლარი, ათვისებელია-5703 ლარი;
16. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი დამტკიცებულია – 9000 ლარი, ათვისებულია-6730 ლარი;
17. აუდიტორიული მომსახურების ხარჯი დამტკიცებულია - 1940 ლარი, აუთვისებელია;
18. საარქივო მომსახურების ხარჯი დამტკიცებულია-4324 ლარი,ათვისებელია - 4063 ლარი და 50 თეთრი;
19. შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი დამტკიცებულია - 3835 ლარი, ათვისებულია- 3240 ლარი;
20. დაცვის სისტემის შეკეთების ხარჯი დამტკიცებულია-165 ლარი, ათვისებულია-163 ლარი და 87 თეთრი;
21. კულტურული ღონისძიებების ხარჯი დამტკიცებულია – 30000 ლარი, ათვისებულია 26169 ლარი;
22. ფინანსთა ასოციასიის საწევრო დამტკიცებულია-4000, ათვისებელია- 4000 ლარი;
23. სამკინძაო დამტკიცებულია -144 ლარი, ათვისებელია-144 ლარი;
24. ელექტრონული დოკუმენტების ხარჯი დამტკიცებულია -1200 ლარი, ათვისებულია 988 ლარი და 20 თეთრი;
25. სხვადასხვა მასალების ხარჯი დამტკიცებულია 5000 ლარი, ათვისებელია- 1928 ლარი;
26. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი დამტკიცებულია – 1000 ლარი, აუთვისებულია;
27. არაფინანსური აქტივების ზრდა დამტკიცებულია 14400 ლარი, ათვისებულია - 14350 ლარი;

მომავალში „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის" მთავარი საზრუნავი, კვლავ ბავშვებისა და ახალგაზრდების იდეური ფორმირება, მორალურ-ზნეობრივი სრულყოფა, სულიერი წრთობა, მათი ეროვნულ პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა იქნება. მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალური, სპორტული, სახვითი ხელოვნების ნიჭიერების უნარისა გამოვლენისა და განვითარებისათვის, მიზნადაა დასახული კიდევ უფრო მეტი შემეცნებითი ახალი ღონმისძიებების მომზადება-ჩატარება, ახალი აქტივობების ძიება და სააღმზრდელო საქმიანობაში მათი პრაქტიკული დანერგვა სახელმწიფო საგრანტო ახალი პროექტების მომზადება.

მთავარ პრიორიტეტად კვლავ რჩება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ინვენტარით და ტექნიკით აღჭურვა, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-სამეცადინო ოთახების, სააქტო და საგამოფენო დარბაზების კეთილმოწყობა, რაც შესაძლებელს გახდის ჩვენმა ქალაქმა უმასპინძლოს სხვადასხვა საბავშვო ფესტივალებს და კონკურსებს. მოხდეს მეტ გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის"
მმართველი

ნინო ხურცია